დანართი №2

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: სახელი, გვარი – ნათია ქაჯაია
წევრები:
სახელი, გვარი – ეკა ბარათაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

[ქალაქი, წელი]

დანართი №2

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 400019948

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესეულებაში საექსპერტო ვიზიტი განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 17.05.2018 წლის N391 ბრძანების საფუძველზე 2018 წლის 21 მაისს. აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული იყო ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „დ" და „ე" ქვეპუნქტებით, მე-7 მუხლის „ე" ქვეპუნქტით და მე-8 მუხლის „ა", „ბ", „გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული სტანდარტების შესრულების შემოწმება.

ვიზიტი იყო არაგეგმიური ხასიათის და მის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე დაწესებულების კურსდამთავრებულის მშობლის მიერ დაწერილი განცხადება და სსიპ — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში კურსდამთავრებულის და მისი მამის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები (დეტალურად იხ. 1.4. ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი).

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოცხადებისთანავე დაწესებულების წარმომადგენლებს გავაცანით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 17.05.2018 წლის N391 ბრძანება და ექსპერტთა მიერ შემუშავებული დღის წესრიგი, რაც სათანადოდ დადასტურდა დირექტორისგან დელეგირებული ფუნქციების მქონე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, ვინაიდან დირექტორი არ იმყოფებოდა დაწესებულებაში საზღვარგარეთ მივლინების გამო.

საექსპერტო ვიზიტი წარიმართა შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენლებსა და საექსპერტო ჯგუფს შორის თანამშრომლობითი ხასიათის ურთიერთობით მიმდინარეობდა ვიზიტი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 17.05.2018 წლის N391 ბრძანებით განსაზვრულ სტანდარტებთან/ქვესტანდარტებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, პერსონალის პირადი საქმეები და იმ პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები, რომელთაც საცხოვრებელ მისამართად უფიქსირდებოდათ მარნეულის რაიონი და ეთნიკურად აზერბაიჯანელები იყვნენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

[ქალაქი, წელი]

ამასთან, საექსპერტო ჯგუფი შეხვდა და ინტერვიურება განახორციელა დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან შესამოწმებელ სტანდარტებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
	1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები	**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	☐	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	☐	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	☐	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

[ქალაქი, წელი]

1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	მუხლი 6 / პუნქტი დ)		
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	მუხლი 6 / პუნქტი ე)		
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	მუხლი 6 / პუნქტი ვ)		
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7		
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)		
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)		
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	მუხლი 7 / პუნქტი ბ)		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	მუხლი 7 / პუნქტი გ)		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	მუხლი 7 / პუნქტი დ)		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	მუხლი 7 / პუნქტი ე)		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)		
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 /		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

(ქალაქი, წელი)

		პუნქტი ვ.გ)		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	☐	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	☐	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.) ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	☐	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	☐	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

IV. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

- **1.4. ქვესტანდარტი** – დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები:
  - დაწესებულება არღვევს საკუთარი რეგულაციით განსაზღვრულ, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურას, კერძოდ დარღვეულია დირექტორის 2016 წლის 12 იანვრის N8/3 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე–17 მუხლის მოთხოვნა; არ არსებობს სტუდენტთა განცხადებები სტატუსის მოპოვების შესახებ; სპეციალური კომისია, მისი საოქმო დადგენილება, რომლითაც კოლეჯის დირექტორს კომისია გაუწევდა რეკომენდაციას საბუთების ანალიზის საფუძველზე, პროფესიული სტუდენტების შესაბამის პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ.

  - დაწესებულება არ აკმაყოფილებს N060451 პროფესიული სტანდარტით დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობას. კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მე–3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულია პირი 16 წლის ასაკამდე, რომელსაც მინიჭებული აქვს პროფესიული კვალიფიკაცია და დაწესებულების მიერ გაცემულია პროფესიული დიპლომი.

  - დაწესებულება არღვევს დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე–17 მუხლის მე–10 პუნქტის მოთხოვნებს, კერძოდ არასრულწლოვან სტუდენტებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მათი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობისა და ხელმოწერის გარეშე;

- **2.5 ქვესტანდარტი** – დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა:
  - დაწესებულება არღვევს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ საქმისწაროების წესს, კონკრეტულად, გამოვლენილია ბრძანებების, ასევე აპლიკანტთა განაცხადების და ხელშეკრულებების დათარიღების, რეგისტრაციაში გაუტარებლობის შემთხვევები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

[ქალაქი, წელი]

V. რეკომენდაციების შეჯამება

1. დაწესებულებას გაეწია რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესთან დაკავშირებით, კერძოდ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში 5 დღის ვადაში ასახოს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მონაცემები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №127/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის" მე–13 მუხლის მე–2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.
2. დაწესებულებას გაეწია რეკომენდაცია, რომ მარეგულირებელ აქტებში გათვალისწინებული დებულებები შეასრულოს საგანმანათლებლო საქმიანობაში;
3. დაწესებულებას გაეწია რეკომენდაცია, რომ პროფესიული სტუდენტების საკონტაქტო ინფორმაცია სრულად და სწორად ასახოს, როგორც პირად საქმეებში, ისე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. დაწესებულების გაეწია რეკომენდაცია, რომ შეიმუშაოს და დაამტკიცოს მარეგულირებელი აქტი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით თოთოეული თანამდებობისათვის;
5. დაწესებულებას გაეწია რეკომენდაცია, რომ დასაქმებულ პერსონალს გააცნოს მარეგულირებელი აქტები და მოამზადოს შესასრულებელ ფუნქციებთან დაკავშირებული აქტების, მათ შორის შინაგანაწესის და დაწესებულებაში დადგენილი სხვა რეგულაციების პერსონალისათვის გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

VI. სტანდარტების შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

[ქალაქი, წელი]

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესი, რომელიც გაწერილია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში და დამტკიცებულია დირექტორის 2016 წლის 12 იანვრის N3/3 ბრძანებით.

დასახელებული აქტის მე-17 მუხლით რეგულირდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, რომლის შესაბამისად:

„1. წარმოდგენილი საბუთების ანალიზისა და/ან საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველების საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით დირექტორის ბრძანებით იქმნება სპეციალური კომისია.

2. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის საოქმო დადგენილების სახით და გადაეცემა კოლეჯის დირექტორს.

3. კოლეჯის დირექტორი კომისიის რეკომენდაციისა და საბუთების ანალიზის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტების შესაბამის პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ.

4. კოლეჯს დირექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში შეაქვს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შესახებ მონაცემები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

(ქალაქი, წელი)

დაწესებულებაში ვიზიტის დროს წარმომადგენლებმა წარმოადგინეს მხოლოდ დასახელებული აქტის მე–17 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროგრამებზე მსურველთა მიღების გამოცხადებისა და მიღებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ დირექტორის 03.01.2017 წლის N1/1 ბრძანება, თუმცა იგივე მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული რეგულაციის შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებები საოქმო დადგენილების სახით, რომლის საფუძველზეც დირექტორის ბრძანება უნდა გამოცემულიყო დაწესებულებაში არ არსებობდა, რადგან წარმომადგენელთა განმარტებით არ შემუშავებულა.

რაც შეეხება დასახელებული მუხლის მე–4 პუნქტით გათვალისწინებულ რეგულაციას, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში არა 2 სამუშაო დღის ვადაში ასახავს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მონაცემებს, არამედ 20 დღის შემდეგ, რაც ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №127/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის" მე–13 მუხლის მე–2 პუნქტის მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მე–3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შ.ი. N060451 პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ მინიმალურ ასაკს (16 წელი) არ აკმაყოფილებდა ჩარიცხვის მომენტისთვის, კერძოდ იგი დაბადებულია 06.05.2001 წელს, ჩარიცხულია 2017 წლის 31 იანვარს დირექტორის ს/2 ბრძანებით.

დაწესებულებაში არ არსებობდა 2018 წელს ჩარიცხულ სტუდენტთა განცხადებები. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით განცხადება ჩაანაცვლეს აპლიკაციის ფორმით, რომელიც არ შეიცავს პროფესიული სტუდენტის ხელმოწერას ჩარიცხვის შესახებ და არ ხდება მისი რეგისტრაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

[ქალაქი, წელი]

ამასთან, დაწესებულებაში არ არის აღრიცხული პროფესიულ სტუდენტთა განცხადებები 2016–2017 წლების.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტთან დადებულ არცერთ სასწავლო მომსახურების ხელშეკრულებაზე (გადამოწმდა 2016, 2017, 2018 წლების) არ არის მითითებული მისი დადების თარიღი, ხოლო რიგ შემთხვევებში დადებულია არასრულწლოვანთან, მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობისა და ხელმოწერის გარეშე. აღნიშნული გარემოებებით ირღვევა, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე–17 მუხლის მე–10 პუნქტის მოთხოვნები, ისე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად ხელშეკრულება არ ჩაითვლება დადებულად.

ამასთან, ვიზიტის პერიოდში შერჩევით შემოწმდა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები სტატუსის მოპოვებიდან კვალიფიკაციის მინიჭებამდე, გამოვლინდა სტუდენტთა მობილობის და მიღებული განათლების აღიარების ფაქტები. ორივე შემთხვევაში დაწესებულებას დაცული ჰქონდა, როგორც მოქმედი კანონმდებლობის, ისე მარეგულირებელი აქტებით დადგენილი რეგულაციის მოთხოვნები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე დაწესებულების კურსდამთავრებულის მშობლის მიერ დაწერილ განცხადებაში და სსიპ — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში კურსდამთავრებულის და მისი მამის მიერ მითითებულ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის ოქტომბერში კრიმინალისტიკის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა მისი შვილი ქ. მარნეულში კოლეჯ „ოლიმპიში", სადაც სტუდენტის მამასთან გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება, თუმცა მეორე ეგზემპლარი მათთვის არ გადაუციათ, სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე 9–10 კაციან ჯგუფებში. დაწესებულებამ მათ განუმარტა, რომ სწავლა იყო 2 წლიანი და წელიწადში გადასახდელი თანხა არის 1250 ლარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

[ქალაქი, წელი]

აღნიშნული თანხა მათ ხელზე აქვთ გადახდილი დაწესებულების წარმომადგენელთან, რომელიც ქვითრის მსგავს ფურცელს აძლევდა დასადასტურებლად და არა ჩეკს. ერთხელ 200 ლარის გადახდისას „გადახდის ქვითრიც" არ მისცეს; როდესაც ქვითარი მოიკითხეს დაწესებულების წარმომადგენელმა განუმარტა, რომ მათ აქვთ პრაქტიკის ხარჯები და ვალდებულნი არიან ჩეკის გარეშე მიიღონ თანხები. მამის განმარტებით, დაწესებულებას ბანკში ანგარიში არ ჰქონდა. კურსდამთავრებულმა ასევე განაცხადა, რომ 2017 წლის სექტემბრამდე არასისტემატიურად უტარდებოდა მეცადინეობა მარნეულში, ყოფილი პოლიციის შენობაში, მასწავლებლების გვარები არ ახსოვს. სექტემბერში განუცხადეს, რომ უნდა იარონ თბილისში კოლეჯის სათაო ოფისში კვირაში ორჯერ ორშაბათს და პარასკევს. რვაჯერ დაწესებულების ხარჯებით თბილისში ჩამოიყვანეს, სხვა დროს საკუთარი ხარჯებით დადიოდნენ. სულ ოცჯერ იყვნენ თბილისში, სადაც სწავლობდნენ კრიმინალისტიკას და ფსიქოლოგიას, ასევე პარალელურად სხვა დღეებში ქართულ და ინგლისურ ენებს სწავლობდნენ მარნეულში, ახალ შენობაში, საავადმყოფოს ტერიტორიაზე. კურსდამთავრებელმა ასევე აღნიშნა, რომ თბილისში სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან ერთად დადიოდა მარნეულიდან, თუმცა ერთად უტარდებოდათ ლექციები. თბილისში სიარულის გამო სტუდენტთა ნაწილმა თავი დაანება სწავლას. მათი განმარტებით, 2017 წლის დეკემბერსა და 2018 წლის აპრილში ასევე გადაიხადეს სწავლის საფასური საქართველოს ბანკში შპს „განთიადის" ანგარიშზე. მათ განუმარტეს, რომ შპს „ოლიმპს" სახელი გადაერქვა, ხოლო პროფესიული დიპლომის აღების შემდეგ მიუთითეს, რომ ადგილი აქვს ისევ დაწესებულების სახელის ცვლილებას და ეწოდა საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი. დასახელებული მამა–შვილი სადაოდ ხდიან იმ გარემოებას, რომ პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაცია მიენიჭა 2017 წლის 29 ნოემბერს, ხოლო სასწავლო პროცესი 2018 წლის მარტამდე გაგრძელდა, დიპლომი კი აპრილის ბოლოს მიიღო. ამასთან, აღნიშნავს, რომ 2 წელი ისწავლა. სწავლის საფასურიც ორი წლის გადაიხადა, მაგრამ ერთწლიანი დიპლომი აქვს მიღებული. დასახელებული გარემოებების შესახებ საჩივრით მიმართეს კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

[ქალაქი, წელი]

დირექტორს, რომელმაც უთხრა, რომ პროგრამა ერთწლიანია და სხვა საკითხები გაერკვიათ მარნეულში. მარნეულში კი მათ უარი განუცხადეს ერთი წლის ზედმეტად გადახდილი ფულადი თანხის დაბრუნებაზე.

საექსპერტო ვიზიტის პერიოდში დაწესებულების კურსდამთავრებულის და მისი მამის განცხადებასა და გასაუბრების ოქმში მითითებული გარემოებების დადასტურება ვერ მოხდა, თუმცა კითხვის ნიშნებს აჩენს მის მიერ წარმოდგენილი სწავლის საფასურის გადახდის ქვითრები არაავტორიზებულ საზოგადოებრივ კოლეჯ „ოლიმპში" 2016–2017 წლებში, ხოლო 2017 წლის 20 დეკემბრის და 2018 წლის 20 აპრილს, შპს „განთიადის" საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული თანხა, დანიშნულებით შ. ი.–ის სწავლის საფასური, პროგრამისა და კურსის მითითებით, მაშინ როდესაც შ. ი.–ი რეესტრის მონაცემებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაცული დოკუმენტების შესაბამისად 21.01.2017 წლიდან 2017 წლის 29 ნოემბრამდე სწავლობდა შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში, 2017–2018 წლებში ასევე იხდიდა დაწესებულებაში სწავლის საფასურს (იხ. დანართი ორისის საბუღალტრო პროგრამის მონაცემები) და რომლის დასრულების შემდეგ 14.03.2018 წელს მასზე გაიცა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი – პროფესიული დიპლომი.

ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებმა გაგვაცნეს მათ მიერ საბუღალტრო პროგრამა „ორისში" შეტანილი მონაცემები, რადგან ნაღდი ფულის სახით ხდებოდა შ. ი.–წ ის მიერ თანხის გადახდა დაწესებულებაში და განგვიმარტეს, რომ სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ანგარიშის ამონაწერს ან/და საბანკო ქვითარს ვერ წარმოადგენდნენ.

აღსანიშანავია, რომ ქ. მარნეულში მცხოვრები პროფესიული სტუდენტების პირად საქმეებში საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომრები) ნაწილობრივ არ მოიძებნა დაწესებულებაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

[ქალაქი, წელი]

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში მითითებული საკონტაქტო ნომრის მფლობელი გადამოწმების შედეგად ყველა შემთხვევაში აღმოჩნდა სხვა პირი, რომელთაც განაცხადეს, რომ წლებია ნომრის მფლობელებს წარმოადგენენ, მათ შორის იმ წლების, როდესაც პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა დაწესებულებაში; შესაბამისად ვერ მოხერხდა მათთან დაკავშირება გასაუბრების მიზნით, გარდა 2 პროფესიული სტუდენტისა, რომელთა ტელეფონის ნომრები სამუშაო ოთახში შემოგვიტანა დაწესებულების წარმომადგენელმა, კერძოდ ზ.ი.–ის და გ. ჟ.–ის. ზ.ი.–თან 2 ჯერ მოხდა ტელეფონის საშუალებით დაკავშირება, თუმცა ქართული ენის სათანადოდ არ ცოდნის გამო კომუნიკაცია უშედეგო აღმოჩნდა. რაც შეეხება გ. ჟ.–ს მასთან შედგა საუბარი და ექსპერტებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სწავლობს შპს ,,განთიადში", მისი დირექტორი იყო ლ.ნ., კვირაში სამი დღე იკრიბებოდნენ მარნეულში თბილისში ლექციებზე წამოსასვლელად. პედაგოგების სახელებს ვერ აზუსტებს, თბილისში დაწესებულების მისამართს ვერ ამბობს, სადაც უტარდება ლექციები, თუმცა ვიზუალურად მიგვითითა, რომ სწავლობდა სამსართულიან შენობაში, სადაც დაღმართიანი ჩასასვლელი იყო.

ამდენად, ვიზიტის პერიოდში განხორციელებული მონიტორინგისას პერსონალის და პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეების შემოწმების, დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას ქ. მარნეულში შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობისა და სწავლების ფაქტი არ დადასტურდა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2016 წლის 12 იანვრის N3/3 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

[ქალაქი, წელი]

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემა;
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №127/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესი";
4. ამონარიდები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემიდან;
5. დაწესებულების დირექტორის 31.01.2017 წლის №ს/2 ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მსურველთა ჩარიცხვის შესახებ;
6. ორისის საბუღალტრო პროგრამის მონაცემები;
7. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმის მასალები, გასაუბრება;
8. 21.05.2018 წლის ოქმი;
9. ე.ა.–თან დადებული ხელშეკრულება;
10. ლ.ვ.–თან დადებული ხელშეკრულება.
11. ქ.გ.–ის პირადი საქმის მასალები;
12. ა.მ.–ის პირადი საქმის მასალები;
13. ინტერვიურება.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

[ქალაქი, წელი]

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კერძოდ:

- შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი" (15/10/2014 N№/20 (ბუღალტრის საგანმანათლებლო პროგრამა);
- შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია" (15/10/2014 N№/9 (ბანკის ოპერატორის საგანმანათლებლო პროგრამა);
- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი (07/06/2016 N№/21);
- შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი" (07/06/2016 N №/97);
- შპს „ინტერბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემია" (29/03/2017 N№/2);
- შპს „ელიტი" (01/02/2018 N∂-1);
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;
2. პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ–გვერდზე არსებული ინფორმაცია;
3. ინტერვიურება;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

[ქალაქი, წელი]

დანართი №2

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმისწარმოების საფუძველია დირექტორის 2015 წლის 25 იანვრის N8/1 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების დებულება, თუმცა დაწესებულება არ ახორციელებს რიგი დოკუმენტების, კერძოდ: სტუდენტის განცხადებების და სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულებების რეგისტრაციას და დათარიღებას, რითაც დარღვეულია შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის საქმისწარმოების დებულების მე–18, მე–19 და 21–ე მუხლების მოთხოვნები.

დირექტორის ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ დაწესებულების დირექტორის 26.04.2018 წლის N8/20 ბრძანება არ იყო რეგისტრირებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2015 წლის 25 იანვრის N8/1 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების დებულება;
2. პროფესიული სტუდენტების [redacted] განცხადებები;
3. 21.05.2018 წლის ოქმი;
4. დირექტორის 26.04.2018 წლის N8/20 ბრძანება და ამონარიდი რეგისტრაციის ჟურნალიდან;
5. ე. ა.–თან დადებული ხელშეკრულება;
6. ლ. ვ.–თან დადებული ხელშეკრულება;
7. ქ. გ.–თან დადებული ხელშეკრულება;
8. ა. მ.–თან დადებული ხელშეკრულება.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

[ქალაქი, წელი]

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 34–ე მუხლში გაწერილია პროფესიული განათლების მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე–12 მუხლის ნორმატიულ შინაარსს, ხოლო დაწესებულების სხვა პერსონალის შესახებ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მარეგულირებელ აქტებში არა აქვს გაწერილი და დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული თანამდებობისათვის, რომელთან მიმართებაშიც მოხდებოდა პერსონალის კვალიფიკაციის შედარება.
ამასთან, აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული სამსახურის დებულებისა და პერსონალის პირად საქმეებში დაცული დოკუმენტაციის შესაბამისად, დაწესებულებაში სამედიცინო განათლების მქონე პირი უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, ბიბლიოთეკარს და იურისტს უდასტურდება დაკავებული პოზიციის შესაბამისი განათლება/გამოცდილება.

ნიშანდობლივია, რომ დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი აქტები/დებულებები ითვალისწინებს დასაქმებული პერსონალის მიერ შესასრულებელ ფუნქციებს. თუმცა დაწესებულებაში არ არსებობს დასახელებული აქტების, მათ შორის შინაგანაწესის და სხვა მარეგულირებელი აქტების პერსონალისათვის გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაზეც რეკომენდაცია გაეწია დაწესებულებას ვიზიტის დროს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2016 წლის 12 იანვრის N8/3 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
2. 21.05.2018 წლის ოქმი;
3. ადმინისტრაციული სამსახურის დებულება;
4. პერსონალის პირადი საქმეები;
5. ინტერვიურება დაწესებულების წარმომადგენელთან ირმა ლომაიასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

[ქალაქი, წელი]

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე–12 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და დაწესებულებაში მოქმედ რეგულაციებს.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი და მათი მონაცემები ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროგრამის განმახორციელებლი პირების პირადი საქმეები;
2. პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემა;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, კერძოდ დირექტორის 2016 წლის 12 იანვრის N3/3 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება ადგენს მასწავლებელთა შერჩევის წესს. დასახელებული აქტის 34–ე მუხლი ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევას როგორც კონკურსის წესით, ისე დირექტორის გადაწყვეტილებით.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც აკმაყოფილებს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2016 წლის 12 იანვრის N3/3 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
2. პერსონალის პირადი საქმეები;
3. შრომითი ხელშეკრულებები;
4. 21.05.2018 წლის ოქმი.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

VII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. ამონარიდი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საბურალტრო პროგრამა ორისიდან;
დანართი 3. დირექტორის 2016 წლის 12 იანვრის N8/3 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
დანართი 4. ამონარიდები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (გ. გ.–ის, ზ. ი.–ის, ნ. დ.–ის, მ. ღ.–ის, ს. ი.–ის, გ. დ.–ის პროფილი);
დანართი 5. დირექტორის 03.01.2017 წლის N5/1 ბრძანება;
დანართი 6. დირექტორის 31.01.2017 წლის N5/2 ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მსურველთა ჩარიცხვის შესახებ;
დანართი 7. შ. ი.–ის პირადი საქმის მასალები;
დანართი 8. 21.05.2018 წლის ოქმი;
დანართი 9.საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმი (07.06.2016 წ. ს/97);
დანართი 10. დირექტორის 2015 წლის 25 იანვრის N8/1 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების დებულება;
დანართი 11. სტუდენტების ა. შ.–ს, ა. გ. – მ.ს განცხადებები;
დანართი 12. ე. ა.–თან დადებული ხელშეკრულება;
დანართი 13. ლ. ვ.–თან დადებული ხელშეკრულება;
დანართი 14. ქ. გ.–ის და ავთანდილ მუსხელიშვილის პირადი საქმის მასალები.
დანართი 15. დირექტორის 26.04.2018 წლის N5/20 ბრძანება და ამონარიდი რეგისტრაციის ჟურნალიდან.

- **შენიშვნა** – გარდა დანართი N1–სა ყველა დანართი წარმოდგენილია სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პირველი რედაქციის დასკვნის პროექტთან ერთად.

28.06.2018 წელი

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]